



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

მამუკა კომახია

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა გლობალურ
ენერგოპოლიტიკაზე

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2022

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი გლობალურ ენერგოპოლიტიკაში, სადაც ენერგორესურსებით მდიდარი რუსეთი ერთ-ერთი მთავარი აქტორია. რუსულ გაზსა და ნავთობზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოკიდებულების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ მოსკოვთან მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, შეუძლებელია მოკლევადიან პერსპექტივაში რუსული ენერგორესურსების იმპორტზე მთლიანად უარის თქმა. გამოსავალი შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში ალტერნატიული მარშრუტებისა და ენერჯის ალტერნატიული წყაროების განვითარებაა, რაც დროსა და დამატებით ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

რუსეთის როლი გლობალურ ენერგოპოლიტიკაში

რუსული ნავთობის ექსპორტი

2022 წლის იანვარში რუსეთში ნედლი ნავთობისა და კონდენსატის წარმოებამ დღეში 11.3 მლნ ბარელს მიაღწია. 2021 წლის დეკემბერში რუსული ნავთობის ექსპორტი დღეში 7.8 მლნ ბარელი იყო, რომლის 60% ევროპაში განხორციელდა. ევროპაში რუსული ნავთობის იმპორტი დღეში 4.5 მლნ ბარელი იყო (მთლიანი იმპორტის 34%). დღეში 750 ათასი ბარელი ევროპამ „დრუჟბას“ მილსადენის სისტემით მიიღო, მათ შორის 250 ათასი ბარელი - უკრაინის გავლით.¹

რუსული გაზის ექსპორტი

რუსეთი მსოფლიოში გაზის ყველაზე დიდი ექსპორტიორია. მხოლოდ 2021 წელს რუსეთმა 762 მლრდ კუბური მეტრი გაზი აწარმოვა, საიდანაც 210 მლრდ-ის ექსპორტი მილსადენების საშუალებით განახორციელა.² რუსეთი ევროპაში გაზის დიდი ნაწილის ექსპორტს მილსადენის ქსელის საშუალებით ახორციელებს. ამ მხრივ შეიძლება გამოვარჩიოთ მილსადენები, რომლებიც სატრანზიტო ქვეყნების (უკრაინა, ბელარუსი) გავლით ევროპის ქვეყნებს უკავშირდებიან და მილსადენები („ლურჯი ნაკადი“, „თურქული ნაკადი“, „ჩრდილოეთის ნაკადი“), რომლებიც ბოლო წლებში სატრანზიტო ქვეყნებზე, განსაკუთრებით უკრაინაზე, დამოკიდებულების შემცირების მიზნით აშენდა.³

2021 წელს ევროკავშირმა რუსეთიდან 155 მლრდ კუბური მეტრი გაზის (140 მლრდ მილსადენის გაზის და 15 მლრდ თხევადი გაზის სახით) იმპორტი, დღიურად 380 მლნ კუბური მეტრი, განახორციელა, რაც ევროკავშირის იმპორტის 45%-ს, ევროკავშირში გაზის მოხმარების კი 40%-ს შეადგენდა. 2017 და 2021 წლებში ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის გაზის

¹ International Energy Agency. 2022. „Oil Markets and Russian Supply“. <https://www.iea.org/reports/russian-supplies-to-global-energy-markets/oil-market-and-russian-supply-2>.

² International Energy Agency. 2022. „Energy Fact Sheet: Why does Russian oil and gas matter?“. <https://www.iea.org/articles/energy-fact-sheet-why-does-russian-oil-and-gas-matter>.

³ International Energy Agency. 2022. „Gas Market and Russian Supply“. <https://www.iea.org/reports/russian-supplies-to-global-energy-markets/gas-market-and-russian-supply-2>.

მთლიანი მოხმარება 495 მლრდ კუბური მეტრი იყო, 2018 წელს - 482 მლრდ, 2020 წელს - 478 მლრდ.⁴

დასავლეთის რეაგირება რუსეთის სამხედრო აგრესიაზე

ამ ეტაპზე ევროკავშირს რუსეთისთვის სანქციების 6 პაკეტი აქვს დაწესებული. სანქციების მე-5 პაკეტის მიხედვით, 2022 წლის აგვისტოსთვის რუსეთიდან ქვანახშირის შესყიდვა, იმპორტი და ტრანზიტი უნდა აიკრძალოს, რაც რუსეთისთვის წელიწადში 8 მლრდ აშშ დოლარის დანაკარგი იქნება.⁵

სანქციების მე-6 პაკეტის მიხედვით, ევროკავშირი დეკემბრისთვის უარს იტყვის რუსული ნედლი ნავთობის შესყიდვაზე, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები ზღვის საშუალებით იღებენ, რაც ევროკავშირის იმპორტირებული რუსული ნედლი ნავთობის 2/3-ია. ორი თვის შემდეგ ასევე აიკრძალება ყველა სახის რუსული ნავთობპროდუქტის იმპორტი. ამ ეტაპზე, ჯერჯერობით გაურკვეველი დროით, ემზარგო არ დაედება რუსული ნედლი ნავთობის „დრუჟბას“ მილსადენით ტრანსპორტირებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2021 წელს ევროკავშირმა რუსეთიდან 48 მლრდ ევროს ღირებულების ნედლი ნავთობი და 23 მლრდ ევროს ღირებულების ნავთობპროდუქტების იმპორტი განახორციელა, რუსულ ნავთობზე უარი რუსეთის შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. ამავე დროს, დასავლეთი უკრძალავს ევროკავშირის კომპანიებს იმ ტანკერების დაზღვევას, რომლებიც რუსული ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებენ.⁶ გაზის იმპორტზე ამ ეტაპზე არ არის სანქციები დაწესებული, თუმცა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გერმანიამ „ჩრდილოეთის ნაკადი-2-ის“ (რუსეთ-გერმანიის დამაკავშირებელი გაზსადენი) დასრულებული პროექტის ამოქმედება შეაჩერა.⁷

სანქციების პარალელურად არაერთმა საერთაშორისო ენერჯოკომპანიამ რუსეთის ბაზრიდან დაუყოვნებლივ ან ეტაპობრივად გამოსვლის შესახებ განაცხადა. რუსეთის ენერჯოსექტორისთვის მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება, თუ ისეთი კომპანიები („Schlumberger“, „Baker Hughes“, „Halliburton“) დატოვებენ რუსეთის ბაზარს, რომლებიც რუსეთის ენერჯოსექტორს მოწინავე ტექნოლოგიებითა და სერვისებით ემსახურებიან.⁸

⁴ Mike Fulwood, Jack Sharples and James Henderson. 2022. „Ukraine Invasion: What This Means for the European Gas Market“. *Oxford Energy Comment, The Oxford Institute for Energy Studies*. 1-14. <https://www.oxfordenergy.org/publications/ukraine-invasion-what-this-means-for-the-european-gas-markets/>.

⁵ Press release. „Ukraine: EU agrees fifth package of restrictive measures against Russia“. 2022. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_2332.

⁶ Jan Strupczewski. 2022. „Factbox: EU's 6th sanctions package against Russia, including oil“. *Reuters*, June 3, 2022. <https://www.reuters.com/markets/europe/eus-6th-sanctions-package-against-russia-including-oil-2022-06-03/>.

⁷ Sarah Marsh and Madeline Chambers. 2022. „Germany freezes Nord Stream 2 gas project as Ukraine crisis deepens“. *Reuters*, February 22, 2022, <https://www.reuters.com/business/energy/germanys-scholz-halts-nord-stream-2-certification-2022-02-22/>.

⁸ James Henderson. 2022. „Thoughts on the impact of foreign companies existing the Russian oil and gas industry“. *The Oxford Institute for Energy Studies, Energy Insight: 112*. 1-18. <https://www.oxfordenergy.org/publications/thoughts-on-the-impact-of-foreign-companies-exiting-the-russian-oil-and-gas-industry/>.

როგორ უნდა ჩაანაცვლოს ევროკავშირმა რუსული გაზი და ნავთობი?

10-პუნქტიანი გეგმა

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტების შეფასებით, ევროკავშირი წლის ბოლომდე რუსული გაზის იმპორტის მესამედით შემცირებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ღონისძიებების პაკეტს განახორციელებს, რომელიც „ევროპის მწვანე შეთანხმებასთან“⁹ იქნება თავსებადი. სააგენტოს ექსპერტებმა 10-პუნქტიანი გეგმა¹⁰ შეიმუშავეს. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი შეეცდება უფრო სწრაფად თქვას უარი რუსულ გაზზე, შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო ნაკლებად პოპულარული ნაბიჯების გადადგმაც, მაგ., ენერგოსექტორში ქვანახშირის გამოყენების გაზრდა.

10-პუნქტიანი გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ევროკავშირი დანაკარგების კომპენსირებას ნელ-ნელა შეძლებს: წლის განმავლობაში ალტერნატიული წყაროებიდან, მათ შორის - აზერბაიჯანიდან და ნორვეგიიდან, 30 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიღება იქნება შესაძლებელი. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიების (მაგ., გათბობის ტემპერატურის 1 გრადუსით დაწვეა) გატარების შედეგად ენერჯის დაზოგვაც.¹¹

ევროკავშირის გეგმა

2022 წლის 18 მაისს ევროკომისიამ ენერგოკრიზისის საპასუხოდ წარმოადგინა გეგმა - „REPowerEU Plan“¹², რომლის მიზანია რუსეთის წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების სწრაფი შემცირება. ევროკავშირის გეგმა 10-პუნქტიან გეგმაზე უფრო ოპტიმისტურად და ამბიციურად გამოიყურება.¹³ გეგმის მიხედვით, მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა მოხდეს გაზზე მოთხოვნის შემცირება, რაც მყისიერად მოიტანს შედეგს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები დღიურად 1 მლრდ აშშ დოლარს უხდიან რუსეთს ენერგორესურსების იმპორტისთვის. 27 თებერვალი-27 მარტის პერიოდში ევროკავშირმა ოთხჯერ მეტი გადაუხადა რუსეთს ენერგოიმპორტისთვის, ვიდრე უკრაინას დაეხმარა. საშუალოვადიან პერსპექტივაში ნავთობისა და გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია უნდა მოხდეს, უნდა გაიზარდოს

⁹ 2020 წელს მიღებული მწვანე შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ევროკავშირი 2050 წლისთვის უნდა გახდეს კლიმატ-ნეიტრალური. დეტალურად იხ.: European Union, <https://eu4georgia.eu/ka/green-deal/>.

¹⁰ International Energy Agency. 2022. „How Europe can cut natural gas imports from Russia significantly within a year“. <https://www.iea.org/reports/a-10-point-plan-to-reduce-the-european-unions-reliance-on-russian-natural-gas>.

¹¹ International Energy Agency. 2022. „A 10-Point Plan to Reduce the European Union`s Reliance on Russian Natural Gas“. <https://www.iea.org/reports/a-10-point-plan-to-reduce-the-european-unions-reliance-on-russian-natural-gas>.

¹² დოკუმენტი იხ.: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM%3A2022%3A230%3AFIN&qid=1653033742483>.

¹³ European Commission, Press release. 2022. „REPowerEU: A plan to rapidly reduce dependence on Russian fossil fuels and fast forward the green transition“. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_3131.

სამხრეთის ენერგოდერეფნის როლი და უნდა აშენდეს ახალი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, თხევადი გაზის ტერმინალები. გრძელვადიანი ღონისძიებები ენერგოწარმოებაში განახლებადი რესურსების გამოყენების გაზრდას ითვალისწინებს.¹⁴

ევროკავშირში ვარაუდობენ, რომ 2022 წლის ბოლოსთვის შესაძლებელია 155 მლრდ კუბური მეტრი რუსული გაზის იმპორტის 2/3-ით (101.5 მლრდ კუბური მეტრი) შემცირება. დასახული მიზნის მისაღწევად კი საჭიროა თხევადი გაზის იმპორტის გაზრდა 50 მლრდ კუბური მეტრით, მილსადენის გაზის იმპორტის გაზრდა 10 მლრდ-ით და ბიომეთანის წარმოების გაზრდა - 3.5 მლრდ-ით. ევროკავშირის მასშტაბით ენერჯის დაზოგვის ღონისძიებებით კი შესაძლებელია 38 მლრდ კუბური მეტრის დაზოგვა.¹⁵

რა შეიცვლება რუსეთისთვის?

მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო რუსეთიდან ენერგორესურსების იმპორტზეა დამოკიდებული, თუმცა რუსეთის შემოსავლებიც დიდწილად ნავთობისა და გაზის ექსპორტზეა დამოკიდებული, რაც 2021 წელს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის 45%-ს შეადგენდა. მხოლოდ გასულ წელს, ენერგორესურსებზე მაღალი ფასების გამო, რუსეთმა ევროპაში ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან 400 მლრდ ევრო მიიღო.¹⁶ დასავლეთისა და, განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნების მიერ რუსეთის ენერგორესურსებზე ეტაპობრივი უარი რუსეთის შემოსავლებს ნელ-ნელა შეამცირებს, რასაც მოსკოვისთვის თავისი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგი ექნება.

დასავლური კომპანიების მიერ რუსული ბაზრის დატოვებას, სანქციების მსგავსად, უფრო შუალედურ პერსპექტივაში ექნება გავლენა, ვიდრე მოკლევადიანში. განსაკუთრებით გართულდება რუსეთის თხევადი გაზის სექტორისა და რთულ კლიმატურ არეალში მდებარე ნავთობსაბადოების განვითარება, რადგან ამ სფეროებში დასავლური ტექნოლოგიები და ცოდნა გადამწყვეტ როლს ასრულებს.¹⁷

რა შეიცვლება უკრაინისთვის?

ახალი მილსადენების (ჩრდილოეთის ნაკადი, თურქული ნაკადი) მშენებლობის შედეგად, ბოლო წლებში უკრაინის სატრანზიტო მნიშვნელობა რუსეთისთვის შემცირებული იყო. 2021 წელს რუსეთის მილსადენის გაზის 25% ევროკავშირისა და დიდ ბრიტანეთს უკრაინის გავლით

¹⁴ Ilaria Conti, James Kneebone. 2022. „A first look at REPowerEU: The European Commission’s plan for energy independence from Russia“. *Florence School of Regulation, European University Institute*. <https://fsr.eui.eu/first-look-at-repowereu-eu-commission-plan-for-energy-independence-from-russia/>.

¹⁵ Mike Fulwood, Anouk Honore, Jack Sharples, Marshall Hall. 2022. „The EU plan to reduce Russian gas imports by two-thirds by the end of 2022: practical realities and implications“. *The Oxford Institute for Energy Studies, Energy Insight: 110*. 1-28. <https://www.oxfordenergy.org/publications/the-eu-plan-to-reduce-russian-gas-imports-by-two-thirds-by-the-end-of-2022-practical-realities-and-implications/>.

¹⁶ Jake Horton, Daniele Palumbo & Tim Bowler. „Russia sanctions: Can the world cope without its oil and gas?“. *BBC*, 31 May, 2022, <https://www.bbc.com/news/58888451>.

¹⁷ James Henderson. 2022. 17.

მიწოდებოდა, მაშინ, როცა 2009 წელს ეს მაჩვენებელი 60% იყო.¹⁸ სატრანზიტო ფუნქციის შემცირების მიუხედავად, უკრაინა წელიწადში 2 მლრდ აშშ დოლარს მაინც იღებდა რუსული გაზის ტრანზიტისთვის. ომისა და დასავლეთის სანქციების პირობებში უკრაინისთვის ეს შემოსავლები დაიკარგება.

ამავე დროს, საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს ან დააზიანეს ენერგოინფრასტრუქტურა. მარტის ბოლოსთვის უკრაინაში ელექტროენერჯის მოხმარება 30%-ით შემცირდა, ელექტროენერჯის წარმოება - 40%-ით, გაზის წარმოება - 15%-ით, ქვანახშირის წარმოება - 30%-ით. საომარი მოქმედებების ზონაში დაიხურა საკომპრესორო სადგურებიც, რომლებიც უკრაინის გავლით ევროპაში რუსული გაზის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდნენ.¹⁹ საომარი მოქმედებების შეჩერების/შენელების შემდეგ უკრაინის მთავარი გამოწვევა არსებული ენერგოინფრასტრუქტურის აღდგენა იქნება.

სამხრეთის ენერგოდერეფანი - ალტერნატიული მარშრუტი

ევროკავშირის ქვეყნებისთვის გაზის იმპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ალტერნატიული მარშრუტი სამხრეთის ენერგოდერეფანია.²⁰ 2021 წლის იანვრიდან აზერბაიჯანი, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიის გავლით, საბერძნეთსა და იტალიას გაზით, ტრანსანატოლიის მილსადენისა (TANAP - თურქეთის ტერიტორიაზე) და ტრანსადრიატიკის მილსადენის (TAP - თურქეთ-საბერძნეთის საზღვრიდან იტალიამდე) გავლით, ამარაგებს. TAP-ის წარმადობა 10 მლრდ კუბური მეტრია, მათ შორის 8 მლრდ განკუთვნილია იტალიისთვის, 1 მლრდ საბერძნეთისა და ბულგარეთისთვის. მილსადენის არსებული წარმადობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ ევროკავშირმა აზერბაიჯანიდან დამატებით 2.85 მლრდ კუბური მეტრი გაზის იმპორტი განახორციელოს.²¹

¹⁸ International Energy Agency. 2022. „Gas Market and Russian Supply“. <https://www.iea.org/reports/russian-supplies-to-global-energy-markets/gas-market-and-russian-supply-2>.

¹⁹ Claudia Carella. 2022. „Ukraine: the war fought on the energy front. Interview with Ukrainian energy expert Maryna Ilchuk“. *Florence School of Regulation*. <https://fsr.eui.eu/ukraine-the-war-fought-on-the-energy-front/>.

²⁰ სამხრეთის ენერგოდერეფანი მოიცავს სამხრეთის გაზის დერეფანსაც, რომელიც ევროკომისიის ინიციატივაა და კასპიური და ახლოაღმოსავლური გაზის ევროპაში ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, რაც მიზნად ისახავს ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებას და გაზის მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

²¹ Mike Fulwood, Anouk Honore, Jack Sharples, Marshall Hall. 2022. 13-14.



აზერბაიჯან-ევროპის დამაკავშირებელი გაზსადენი. წყარო: bankwatch.org

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე აზერბაიჯანიდან გაზის ექსპორტის მაქსიმალურად გაზრდის შესაძლებლობები შეზღუდულია, დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად, რამდენიმეწლიან პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება დამატებითი რაოდენობის გაზის ექსპორტი. გრძელვადიან პერსპექტივაში კი შესაძლოა სამხრეთის ენერგოდერეფანმა თურქმენული გაზიც გაატაროს. ამისთვის კასპიის ზღვის ფსკერზე თურქმენეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი მილსადენის მშენებლობა იქნება საჭირო. თურქმენული გაზი დიდი ხანია გაზის იმპორტიორი ქვეყნების სამიზნეა, თუმცა საჭირო პოლიტიკური მხარდაჭერისა და ფინანსების ნაკლებობის პირობებში, პროექტის განხორციელება ვერ ხერხდებოდა. ახლად შექმნილ გეოპოლიტიკურ რეალობაში კი, რუსული გაზის თურქმენეთის გაზით ნაწილობრივ ჩანაცვლების შესაძლებლობა გაჩნდა.

ამავე დროს, არსებული ენერგოინფრასტრუქტურის ტექნიკური განახლების შედეგად, შესაძლებელია საქართველოზე გამავალი ნავთობსადენებით (ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები) ევროპაში არსებულზე მეტი აზერბაიჯანული, პერსპექტივაში კი ცენტრალური აზიის ქვეყნების, ნავთობის ტრანსპორტირებაც.

ძირითადი დასკვნები

- ევროკავშირი რუსული ნავთობის იმპორტზე უარის თქმას უფრო მალე მოახერხებს, ვიდრე გაზზე. უკვე 2022 წლის ბოლოსთვის შესაძლებელია, რომ ევროკავშირმა რუსეთიდან ნავთობის იმპორტი მინიმალურ დონეზე დაიყვანოს, რაც რუსეთისთვის დიდი ფინანსური დარტყმა იქნება. უკვე გამოცხადებული სანქციების შედეგად, რუსეთს შეუძლია დაკარგოს ნავთობის შემოსავლები 1/3-დან ნახევრამდე.

- 2022 წელს რუსული გაზის ჩანაცვლება რთულად მისაღწევი ამოცანა იქნება. შემუშავებული გეგმის მიხედვით, ევროკავშირი რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებისგან 2027 წლისთვის უნდა განთავისუფლდეს, წლის ბოლომდე კი 101.5 მლრდ კუბური მეტრი რუსული გაზის ჩანაცვლების გზები უნდა გამონახოს, რაც საკმაოდ ამბიციური გეგმაა. გრძელვადიან პერსპექტივაში, 2030 წლისთვის უფრო შესაძლებელია გაზის მოხმარების შემცირებაც და ელექტროენერჯის წარმოებაში მეტი განახლებადი ენერგორესურსის გამოყენება. თუმცა, მანამდე გადასაწყვეტი იქნება, თუ რა შეიძლება გაკეთდეს უახლოეს 2-3 წელიწადში.
- ევროკავშირისთვის რუსული ენერგორესურსების ჩანაცვლების ერთ-ერთი გზა ალტერნატიული მარშრუტების განვითარებაა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთის ენერგოდერეფნის განვითარებას, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის დამატებითი რესურსების ტრანზიტს გულისხმობს. არსებული მილსადენების ტექნიკური შესაძლებლობის გაზრდის შედეგად შესაძლებელია ევროკავშირმა უფრო მეტი კასპიური (აზერბაიჯანული, თურქმენული, ყაზახური) რესურსი მიიღოს.
- რუსული ნავთობისა და გაზის ექსპორტზე ემბარგოს დაწესების შედეგად რუსეთის შემოსავლები ეტაპობრივად შემცირდება. ევროპის საექსპორტო ბაზარზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიის ფარგლებში უკვე ამოქმედებულია აღმოსავლეთ ციმბირი-წყნარი ოკეანის მილსადენის სისტემა და გაზსადენი „ციმბირის ძალა“. თუმცა, აღმოსავლეთით მილსადენების სისტემის არსებობის მიუხედავად, რუსეთი მთლიანობაში ვერ შეძლებს დასავლეთის საექსპორტო ბაზრის სრულად ჩანაცვლებას, რადგან ამისთვის ამ ეტაპზე საკმარისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ამავე დროს, აზიელი მომხმარებლები შექმნილ ვითარებაში რუსული ნავთობისა და გაზისთვის გაცილებით ნაკლების გადამხდელები არიან.
- რუსეთიდან ენერგორესურსების იმპორტზე დაწესებული სანქციების შედეგად დასავლეთში უკვე გაიზარდა საწვავის ფასები, რომელიც, დიდი ალბათობით, წლის განმავლობაში კიდევ გაიზრდება. შექმნილი ვითარებით გამოწვეული ინფლაციაც ასევე მოსახლეობას დააწვება.²² გაზრდილი ენერგოფასები პირდაპირ აისახება მომხმარებლებსა და ბიზნესზე. მაღალი ფასები ენერგოფეროში პირდაპირ იმოქმედებს წარმოების ღირებულებაზე და შესაბამისად გაზრდის კვების პროდუქტების ფასსაც.²³

²² „War in Ukraine: West hits Russia with oil bans and gas curbs“. *BBC*, March 9, 2022, <https://www.bbc.com/news/world-us-canada-60666251>.

²³ Peter Levi, Gergely Molnar. 2022. „How the energy crisis is exacerbating the food crisis“. *International Energy Agency*, 14 June, 2022, <https://www.iea.org/commentaries/how-the-energy-crisis-is-exacerbating-the-food-crisis>.